სახალხო გაზეთი

№ 598 კვირა, 13 მაისი, 1912 წ. № 598

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ავტორად ყოფნა პარაკეტი შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

27 მაისს, „ახალ კლუბის" ბაღში გაიმართება

სეირნობა ბაზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას **დახმარებას.** ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების" კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254.4)

ბლესასწალისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 16 მაისს.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

თ-დი ალექსანდრე ივანეს ძე და მეუღლე მისი სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ დღეს, 13 მაისს, ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება ნახევარწლის პანაშვიდი მათის დაუვიწყარის, უდროოდ გარდაცვალებულის შვილისა და ძმის **პეტერბურგის უნივერსიტეტის ფინანსთა სამართლის კათედრასთან დატოვებულის**

თ-დ დავთ ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—452—1).

ოლღა სპირიდონის ასული აბაზაძისა შვილებით, სპირიდონ იოსების ძე გუნცაძე, პოლიშკა სპირიდონის ასული გუნცაძისა, იოსები, დავით და შალვა გუნცაძენი, პირველი მეუღლე განსვენებულისა, მეორე სიმამრი და მესამენი ცოლის ძმები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნიკალაევის საკატორღო ციხეში გარდაიცვალა

მიხეილ დავითის ძე აბაზაძე

წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება დ. სურამში, სამშაბათს, 15 მაისს იტრიის ღვთის მშობლის ეკლესიაში, შუადღის 1 საათზე. (1 450. 1.)

მწუხარებასა შინა მყოფი **თეოდორა ალმასხან სიხარულიძის ასული, ქვრივი ივანე ცინცაძისა, მიხა, გრიშა და ქეთევან ცინცაძენი, პავლე ცინცაძე, მაკა დოლიძის ასული, ალექსანდრე, მელქისედეკ, ბიკტორ და ვასილ სიხარულიძენი, ძაღუნე და ბესარიონ დოლიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 მაისს იქნება გადახდილი ორშოცის წირვა და პანაშვიდი დიდუბის წმ. ღვთის მშობლის ეკლესიაში, პირველის ქმრისა, მეორეების მამისა, მესამის ბიძაშვილისა და უკანასკნელთა სიძისა, უდროოდ გარდაცვალებულ

ივანე გაბრიელის ძე ცინცაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი იქნება გადახდილი წირვის შემდე 1 საათზე. (1 449 - 1),

ქართული თეატრი

კვირას, 13 მაისს 1912 წ.

გრ. როგაჭიძე

რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას:

ხელოვნება და სინამდვილე

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, ადგილების ფასი დაკლებულია.

(2.1262 2) ადმინისტრატორი **იორდანიშვილი.**

ზუბალაშვილის სახელოვნების სახალხო სახლი

ბ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

კვირას, 13 მაისს 1912 წ.

წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ ელ. ჩერქეზიშვილის და ოლ. ლეჟავას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება;

კომედ. 4 მოქმ. **ხანუმა** ას. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბ. ლორიძე, კორინთელი, სოფ. რომანიშვილი, მ. ქართველიშვილი, ო. ლეჟავა, თ. ყიფშიძე, ყოჩიშვილი ელ. ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი გ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, მ. ინაშვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, ვ. ნინიძე, გ. ჯაბაური, კ. ხახანაშვილი, დ. ჩიქოვანი, ნ. ქომკვეტაძე. დასაწყისი 8½ საათზე.

ადგილების ფასი: 50 კაპ. 5 კ.-დე. რეჟისორი **ალ. წულუკიძე.**

ადმინისტ. **სვ. ჯაფარიძე.** მორიგი წევ. **ის. ჭანტურია** (4—[illegible]—4)

ძმ. ზუბალაშვილების სახელოვნების სახ. სახლი.

კვირას, 13 მაისს,

მსახიობი **ნიკო გოცირიძე** გამართავს

სალიტერატურო-სამუსიკო დილას,

დამსახურებულ მსახიობის **ვლ. ალ.-მესხიშვილის,** დრამატურგ **ი. გედევანიშვილის,** თეატრ „**მინიატიურის**" ცნობილ მსახიობთა, **მიხ. კავსაძის გუნდისა** და სხვათა მონაწილეობით. **პირველ განყოფილებაში** ლექტორი ტფილ. ქალთა უმაღლესს კურსებისა ბ-ნ ს. **კაკაბაძე** წაიკითხავს

ლექციას: „ბიოლოგი სააკაძის პიროვნება ქართულ ისტორიაში".

მეორე სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობენ: მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი (წაიკითხავს თანამედროვე სცენებს) და შემდეგი მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს: დრამატურგი ი. გედევანიშვილი, ია ეკალაძე, ს. მგალობლიშვილი, ირეთელი, გ. ქუჩიშვილი, ს. აბაშელი, მსახიობნი ი. კ. ლანგფელდი და ა. ა. კოჩეტოვი და ნ. გოცირიძე (კომიკური სცენები) და 9 წლის მ. ირემაშვილი. **მესამე** კონცერტულ განყოფილებაში: ქართ. მომღერალთა გუნდი შეასრულებს ქართულ ეროვნულ სიმღერებს. ცნობილნი მსახიობნი თეატრ „მინიატურისა". ქ-ნნი ი. ნ. დაროვისა, ე. ს. პოლტცერი, ბ. ნ. ი. კოჩეტოვი შეასრულებენ **ბოშთა რომანსებს.** ბ. ი. სლუკა (პიანინოთ), ლ. ზ. გუტკინი—სკრიპკა, ბ. ჩუბინაშვილი—იმღერებს რომანსებს. ადგილების ფასი 5—50 კ.

2.260.2. **დასაწყ. ნაშ. 1 ს.** გამგენი: **ნიკო გოცირიძე, გ. სალარიძე.**

ორშაბათს, 14 მაისს, შუადღის 12 ს. „ახალ კლუბის დარბაზში, სასახლის ქ. დანიშნულია

საზოგადო კრება

ტფ. სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ

უფასო სასადილოს საზოგადოების წევრთა.

განსახილველი: 1. გამგეობის მოხსენება ანგარიშის შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.
3. ახალი წევრების მიღება.
4. 3 სარევიზიო წევრის არჩევა. (2—444—1)

ორშაბათს 14 მაისს შუაღამის ზ ა ღ ო ი

საზოგადოება

„განათლება" ჭმართავს დიდ სეირნობას

ბავშვებისათვის იქნება მრავალი გასართობები და **ეტლით სეირნობა, ალეგრი,** ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ბედის კლიტე, ყვავილები, უფასო სინემატოგრაფი და ბევრი სხვა გასართობები. **დასაწყ. ნაშუადღ. 1 ს.** დაუკრავს **სამხედრო მუსიკა** და **დუდუკი,** შესვლის ფასი 25 კ. ყმაწვილებისათვის 15 კ. (2.446.[illegible])

გორის სავაჭო გიმნაზია

(1-ლ სექტემბრიდან)

აცხადებს, რომ მისაღები **გამოცდები** გიმნაზიურ კლასებში პირველ კლასიდან მეშვიდემდე

დაიწყება 15 მაისიდან,

მოსამზადებლებში კი 21 მაისიდან.

(3.428.3)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

დილის წარმოდგენა ორშაბათს, 14 მაისს, **ვლ. ალექსი-მესხიშვილი** გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

მურად ფაშა

ისტორ. დრამ. 4 მოქ. პ. ყიფიანისა.

მურად-ფაშას როლს შეასრულებს **ვლ. ალ. მესხიშვილი.**

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ლეჟავა; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი, ი. ჟვიძე, ალექსიძე, სარაული, თარალაშვილი და სხვ. დასაწყისი დილის ½ საათზე

ადგილების ფასი დაკლებულია. 1—96— რეჟისორი **კონსტან-ანდრონი.**

ახალი კლუბი

ქართველ თავად-აზნაურობის თეატრი. ქართული საოპერო ამხანაგობა.

ორშაბათს 14 მაისს 1912 წ.

წარმოდგენილი იქნება **ქართულს ენაზედ.**

დემონი

ოპერა 3 მოქმედ. და 5 სურათ. ა. რუბენშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილისა, ისტამანოვისა, პრესინსკაია, ბ-ნნი ისრიშვილი, ო-დი ბარათოვი, დანაშვილი, დავიდოვი და ცხომელიძე.

ხორო შესდგება 40 კაციანგან.

რეჟისორი ბელსკი ლოტბარი ნ. გ. ქართველიშვილი

ხორმეისტერი ჰ. პ. ფალიევი ადმინისტრატორი ცხომელიძე

საყოველთაო წარმოდგენა

ადგილების ფასი სამი მანეთი და ათი შაურიდან ორ აბაზამდე. ბილეთები იყიდება კასაში 11 სათიდან 2½ ს. დღისით და 6 სათიდან 8 ს. საღამოს. (3—24—3)

ვ. ა. ლევანდოვსკის

6 კლასიანი კერძო პროგიმნაზია

(ანასტასიევის ქ. 14 ტელეფ. 804)

მისაღები ეგზამენები 28, 29 და 30 მაისს, დილის 9 საათიდან

(3. 1250. 2.)

ტფილისის ქართულ საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებული 1910 წ.)

ახლად შეკერილ საკუთარ ეროვნულ ტანისამოსში (ქულაჯებში)

გამოწყობილი.

იღებს მონაწილეობას: კონცერტებში, მუსიკალურ დილა-საღამოებზე, სეირნობებზე, სასიმღერო პიესებში, ეკლესიაში გალობაზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში.

გუნდის მიწვევა-დაკვეთა ერთი კვირით ადრე, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1) გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** (სადგურის მახლობლად, ანდრეევის ქ. № 87), 2) თავმჯდომარისამოანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეუავასთან,** (კრასნოგორსკის ქუჩა № 28), 3) გუნდის ლოტბარი **მიხეილ კავსაძესთან,** (ავჭალის მოედანი, № 11).

გუნდის გამგეობა სთხოვს ყველას, ვინც კი გუნდს მიიწვევს სადმე, ჯერ ჩვენგან აიღონ პირობა და შემდეგ გამოაცხადონ ხოლმე გუნდის მონაწილეობის მიღება.

(3.425.) **გუნდის გამგეობა.**

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1967)

(100—1117—155)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.

და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ეტლი", სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭელეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია. (25 1195.25)

ტელეფ. 296 ბაღი ედემი ვერაზე ტელეფ. 296

ყოველ დღე 2—6 და საღ. 10—2 საათამდე უკრავს ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი **ბ. კაზიმირის** ხელმძღვანელობით.

ბაღშია მოწყობილი სამზარეულო ქართულ-ევროპიულ საჭმელ-სასმელებით. შეიძლება დაკვეთა სადილ-ვახშმებისა. სანოვაგე ყოველდღე ახალ-ახალი.

(5—[illegible]255—1) **ბაღის პატრონი კ. ბაქრაძე.**

მერძევეთა ამხანაგობა

„ლილო"

ამით აუწყებს რძის მომხმარებელთ, რომ იგი 15 მაისიდან იწყებს **ნამდვილ რძის გაყიდვას ხელსაყრელ ფასებში.** მსურველთ უნდა მიმართონ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანს, ბარიათინსკის ქ., № 5. **მთავარი გამგე სოლომონ ბაღაშვილი.**

(2.1258.2)

ვასწავლი

ქართულ სიმღერა-გალობას

სამშაბათობით და ხუთშაბათობით 5—6 საათამდე.

ადრესი: ავჭალის მოედანი № 11.

მუშებს და ნოქრებს კვირაობით 3—4 საათამდე.

ადრესი: ავჭალის ქუჩა № 29.

იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.** (6.416.4)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. ¼ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები".

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.42)

ქუთაისი

შუაგულ ქუთაისში, „**მწვანე ბაზარში**", **ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მოოთხული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

„ბრისტოლი".

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველო, ლოტი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. **ქუთაისი** (25.1194.24)

ქუთაისი

ქუთაისში
რკინეულობის სავაჭრო

სტეფანე კავლეს ძე ფეიქარიშვილისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. შაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და საწადილო თოფებისა.**

(25.1252.4) პატივისცემით **ხ. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

ახალი გამოცემა

ქართ. სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

გ ე ს ი კ ი

(ბესარიონ გაბაშვილი).

ფასი 1 მან.

იყიდება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ 20% დაკლებით. საწყობი: ოლგის მისახვევი, № 5 ბინა **გ. ს. რცხილაძისა.** (0—1235—7

ტფილისის ქართულ სამხანაგო მომღერალ-მგალობელთა

ახალ-ახალი

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

ორშაბათს, 14 მაისს, 1912 წ.

ბ. ბ. ინანიაშვილი

ბ. ბ. ინანიაშვილი

**ბ. ბ. ინანიაშვილი

ტფილისის კანტორა

პროგკის მრეწველობის საააქციონერო. საზოგადოებისა

ვიკანდერ და ლარსონ,

გოლოვინის პრ., № 9. ——— ტელეფონი № 490.

ლიგავის ლინოლეუმი

საუკეთესო იტალიის მოსაფენად.

სამაგიდო კლეონკა,

პროგკები,

კაპსულები.

(4.1264.1)

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ

Adresse Télégraphique ANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами

Тифлисъ. Баку. Батумъ.

საფოტოგრაფიო განყოფილებაში

საბაფბულო სეზონისათვის

რჩეული საქონელი

სხვა და სხვა ფირმათა კამერებისა, ფირფიტებისა, ქაღალდის, ღია ბარათისა და ყოველგვარ საფოტოგრაფიო მოწყობილობისა.

მოკლე დროში დაიბეჭდება და გამოვა ახალი **საფოტოგრაფიო პრეისკურანტი.** (1—1265—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძველი ეკლესიის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაცი-ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი	**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **ბალალაშვილი ვ. ვ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
საფეხბურთო	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ვ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობაო-ბრონქიალ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. ვ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულთანოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვ. ავადმ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ფსიქიკ. ავადმ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
ოფთალმ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
ყელ. ყურ. ცხვირ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროკიმიო და სანაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაბრ. Wassermann. რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კანსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „ნ ი ნ“ წამლის შეზავაუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1020—336)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავადმ. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.

ასპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყოვ.-დღე 12-1 ს. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ საათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

კონსულტატი შინაგ. ავად. ტ. ი, **რუდენკო.** ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ი. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1234—6).

ექიმი კბილისა ალ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ბ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება ტარის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.109).

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ს.--6½ საათ. ეკზისთის ქ., № 1

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10--2 ს.-მდე და საღამოს 5--7 ს. ადრესი: ოლოლას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა. **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—33)

ექიმი კბილისა არჩილ (ბიოლრბი ბ—ძე) დოლიძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.33)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ვ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—90)

ექიმი ე. ვ. ვ. ა. ი. ძ. ე.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს სამი კანონ-პროექტი.

მესამედ განხილვის შემდეგ მიიღეს კანონ-პროექტი, რომლითაც საიმპერატორო და სალენო მიწათა პატრონებს უფლება ეძლევათ მამული გლეხებს მიუზომონ.

ბელინსკი კითხულობს მოხსენებას ამიერ-კავკასიის საგუბერნიო საეროობო მომავალ სამი წლის ხარჯთა კანონ-პროექტის გამო.

ჩხეიძე. ძალიან ცოტა ფულს იძლევა მთავრობა ხალხის საკულტურო საჭიროებისათვის. საქმე ასე იქნება, ვიდრე კავკასიაში ეროობას არ შემოიღებენ. მაგრამ მიუხედავად ბევრგვარ თხოვნისა, ეროობა მაინც არ შემოღებულიათ. დარწმუნებული ვარ, ადმინისტრაცია თავის დღეში არ მისცემს კავკასიას ეროობას, რადგანაც მისთვის ხელსაყრელია საეროგო ფულის უკანტროლოდ ხარჯვა. საეროობო ფულის დიდი ნაწილი საპოლიციო დარაჯებისათვის გადაუდგიათ, იმ დარაჯებისათვის, რომელნიც ამ საქმის მორევიზე სენატორ კუზმინსკის სიტყვით, ყაჩაღობას ეწევიან და ხალხის შემაწუხებელნი არიანო.

საღათელიანიც იმასა სჩივის, საკულტურო საჭიროებისათვის ძლიერ ცოტა ფულს გადასდებენ ხოლმე და აუარებელ ფულს ჭიუპავენ კავკასიაში გადასახლებულთათვის მიწების შეფასებაზეო, ასეთი საქციელი კავკასიის მავნებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოსო.

ტიმოშკინი. კავკასიის დარაჯებში მართლაც არიან არა სასურველი ელემენტები, მაგრამ შეუძლებელია მთლად ყველა გავამტყუნოთ. ამას გარდა, დარაჯების სამი მეოთხედი ხომ სტუდენტობაა. ტიმოშკინს შეაქვს შესწორება, კავკასიაში ეროობა უნდა შემოიღოთ, მაგრამ ისეთი კი, რუსთა ინტერესები უზრუნველყოფილი იყოსო.

ჰაიდაროვი მოითხოვს, დაღისტნის ოლქში შეკრებილი საეროობო გადასახადი, დაღისტნისავე საკულტურო საქმეებს მოჰხმარდეს და ამიერ კავკასიის დარაჯთა შესანახად ნუ იხარჯებაო, რადგან დაღესტანში საეროობო დარაჯები არ არიანო.

მუხლობრივ განხილვის დროს ფინანსთა მინისტრის თანაშემწემ პოკროვსკიმ შესწორება შეიტანა, რომელიც მიიღეს. შესწორებული მუხლი ეხებოდა ნამესტნიკის საბჭოში ხმის უფლებით ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლების რიცხვსა, პოკროვსკიმ მათი რიცხვის შემცირება მოითხოვა და აისრულა კიდეც წადილი.

საღათელიანი მოითხოვს, გადარჩენილი ფულითი სადგ. კალაგერანიდან, ტფილისის რკინ. გზის ლიანდაგის შეერთებამდე რკინის გზის შტო გაიყვანეთო.

თ-დ შარვაშიძეს შეაქვს შესწორება, ამიერ კავკასიაში ეროობის შემოღებისა და დასძენს: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ისეთი ეროობა უნდა შე ოიღოთ, როგორიც რუსეთის შუაგულ გუბერნიებშიაო.

სათათბიროომ უარჰყო შარვაშიძის შესწორება და ხარჯთ-აღრიცხვა და მოსაზრებანი კომისიის რედაქციით მიიღო.

თითქმის უკამათოდ მიიღეს 24 კანონ-პროექტი. განიხილეს, სხვათა შორის, საბეგრო ფულის რაოდენობის კავკასიის გუბერნიებზე განაწილების კანონ-პროექტი.

კანონ-პროექტი მიიღეს.

სინადინო კითხულობს სასოფლო-სამეურნეო კომისიის დასკვნას ყურძნის ვინის ახალ კანონის გამო და საკითხის სწრაფად განხილვას მოითხოვს.

მცირედის შესწორებით კანონ-პროექტი მიიღეს.

სინადინოსავე მოხსენებით მიიღეს ბესარაბიის გუბერნიაში უცხოელთა სასულიერო დაწესებულებათა მამულის შემოსავლის მოხმარების კანონ-პროექტი.

თავმჯდომარე. შემოიტანეს სასწრაფო შეკითხვა ისეთი, როგორიც ცალკე თათბირის დროსაც შემოიტანესო. კანონის ძალით, ამ შეკითხვის წაკითხვა და განხილვა შეუძლებელია.

შულგინი მე-2 პროტესტს აცხადებს, ცალკე თათბირს ნება არა ჰქონია აეკრძალა შეკითხვის შეტანა. ეხლა უფრო ბევრი ცნობა მივიღეთ და ამიტომ მერე წარმოვადგენთ ამ შეკითხვას, ეხლა კი უკანვე მიგვაქვსო.

შემდეგი სხდომა შაბათს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი დავითი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო იგი ვერ ახერხებს, რომ 14 მაისს სწიროს ქვეშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და პიატიგორსკში გამგზავრებამდე გამოეთხოვოს თავის საყვარელ თანამემამულეთ.**

✦ **შუამთის მონასტრის იღუმენი ნიკოლოზი,** როგორც შევიტყეთ, დროებით დაინიშნა შუამთის მონასტრისა, ალავერდის საკრებულო ტაძრისა და აწყურის წმ. გიორგის წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებლად.

✦ ოთხშაბათს 16 მაისს **ჯვარის მონასტრის ტაძრის დღეობას** (მცხეთის პირდაპირ) მწირველი იქმნება **გორის ეპისკოპოსი ანტონი.** წირვის შემდეგ დაათვალიერებს ეკკლესიას, რომელსაც სიძველისა გამო შეკეთება სჭირდება.

✦ **საქართველოს ექსარხოსი** ამ თვის ბოლო რიცხვებში დუშეთისა, თელავისა და თიანეთის მიზრებში ზოგიერთს ეკლესიას დაათვალიერებს.

✦ **ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი** სიღნაღიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **სეირნობა „განალების“ სასარგებლოდ.** ორშაბათს, 14 მაისს, მუშტაიდის ბაღში „განალების“ საზოგადოება დიდს სეირნობას გამართავს. დასაწყისი ნაშუადღევის სამს საათზე.

✦ **სავაჭრო ბანკი.** 10 მაისს კრება ჰქონდათ იმ პირთ, რომელნიც ტფილისში სავაჭრო ბანკს აარსებენ. კრებას 30 მსხვილი ვაჭარი და დამაარსებელი დაესწრო. ბანკის წესდებით პროექტი მცირე ცვლილებით მოწონებულ იქმნა. პროექტი დასამტკიცებლად ახლავ წარედგინება მთავრობას. კრებამ დაადგინა, თითო აქცია 250 მან. ფასი დაედოს და არა 200 მან. როგორც წინად იყო განზარახული. ბანკის ძირითად თანხად უნდა შეგროვილ იქმნეს სამი მილიონი, მანეთი ნაცვლად წინად განზრახულ ორის მილიონისა. ჯერ-ჯერობით ხელი მოუწერიათ ორ-მილიონ ნახევრის აქციაზე. დასასრულ არჩეულ იქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: ა. ნ. მილოვი, ი. მ. დოლუხანოვი, ა. ნ. სეილანოვი, მ. ნ. ბოზარჯიანცი, ა. ა. ენფიანჯიანცი, ს. ს. გულბენკიანი ს. ქ. სულხანოვი და ა. ე. ბაღდასაროვი.

✦ **ქალის დაჭრა.** გუშინ, 12 მაისს, ბარონისა და გრაფის ქუჩების კუთხეში, კ. მესხის ლიტოგრაფიასთან, ვიღაც უცნობმა ცაცმა დანით მძიმედ დასჭრა ერთი ქალი. როგორც ამბობენ, ქალი ამ უცნობის ცოლია. უცნობი შეიპყრეს.

✦ **ქალაქის შრომის ბირჟაში** აპრილის განმავლობაში სამუშაოს საშოვნელად მისულა 143 კაცი და 234 ქალი. სამუშაო უშოვნია 54 კაცს და 201 ქალს.

✦ **ქალაქის სამშობიარო თავშესაფერში** აპრილის განმავლობაში 101 ქალს მოულოგინია,

✦ **ქალაქის ლომბარდში** აპრილის განმავლობაში 1,742 ნივთი დაუგირავებიათ. გაუტანიათ 27,220 მანათი.

✦ საგეოგრაფიო საზოგადოებამ დაადგინა საჭირო ფული გადასდოს **ოლთინ იმხრის** (ყარსის ოლქი) **ბოტანიკურად გამოსაკვლევად.** გამოკვლევას მოახდენს ტფ. ბოტანიკურ ბაღის ბოტანიკი დ. ი. სოსნოვსკი, რომელიც ოლთანის მხარეს უკვე გაემგზავრა.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა **საბჭოს კრება** კვირაში ორჯელ მართოს, რადგანაც განსახილველ საგანთა რიცხვი ერთობ ბევრია. ხოლო საზაფხულო სეზონამდე კი დრო ცოტაა.

✦ **უეცრივ გარდაიცვალა** ახალქალაქის მაზრის მცხოვრები ოსეფ ვართანას ძე ლიულიკიანცი, რომელიც ტფილისში ჩამოიყვანეს საავადმყოფოში დასაწვენად.

✦ **პროფ. სივერსი** პეტერბურგიდან ტფილისს წამოსულა 8 მაისს.

✦ **წალკის წყლის მილის** საკითხი ქალაქის გამგეობამ და სატეხნიკო და საფინანსო კომისიებმა საბოლოოდ განიხილეს და ახლა ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

✦ საკითხი იმის შესახებ, რომ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს** ქალაქმა შემწეობა დაუნიშნოს, ქალაქის საბჭოს, კრებას განსახილველად წარედგინება სამშაბათს, 15 მაისს. გამგეობამ, როგორც ვწერდით, დაადგინა, სასადილოს წელიწადში ათი თუმანი დაენიშნოს.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს მთავარმა რწმუნებულმა ნამესტნიკის თანაშემწის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ლაგოდეხის მცხოვრებთ (გადმოსახლებულ რუსებს), რომელთაც ჰიაურის ტყიდან **შეშა დღემდე უფასოდ ეძლეოდა,** ამიერიდან შეშა უფასოდ აღარ მიეცეთ. ნამესტნიკის თანაშემწემ შუამდგომლობა შეიწყნარა.

✦ 11 მაისს **საწამლავი დალია** ავლაბრის ქუჩაზე დედ-მამასთან მცხოვრებმა მარიამ ... ასულმა. გასპაროვმა. მოწამლული სამკურნალო დახმარებას ... ...

წესებულებისაგან შესანახად მიღებული ფული უნდა იყოს: არა უმცირესი 20 მანეთისა და არა უმეტესი 1,000 მანეთისა.

შესანახად შემოტანილ ფულზ მიეცეს სარგებელი: 1/2 წლით 6%, წლიური ერთ წლამდის და ზევით 7 % წლიური.

ჯერი მიდგა გამგეობისა და საბჭოს ორი წევრის არჩევანზე. არჩევნების წინ ტ. ხაჩიძემ შესაფერი სიტყვით მიმართა კრებას, რომელშიდაც აუხსნა, რომ თუ მოხდებოდა ახალი წევრების არჩევა, უეჭველად აერჩიათ მცოდნე პირები, რადგანაც წევრად ჩაწერის მსურველი თითქმის მთელი სოფელია, გამგეობაში საქმე ბევრია საკეთებელი და მკეთებელი სულ 3 კაციაო, ყველა არ შევებერდებით ამ გამგეობას და საჭიროა, რომ ამხანაგობის საქმის მსვლელობასთან ყველა გაცნობილნი იყვნენო, მაგრამ რადგანაც ასეთი პირები ცოტა მოგვეპოვებიან, გამგეობაში და საბჭოში მაინც აუცილებლად საჭიროა მცოდნე პირები იყვნენო, რომლებსაც შეძლება ექმნებათ უფრო მეტი წევრი მიიღონ და მით გამოიყვანონ იგინი უმწეო მდგომარეობიდანაო.

კენჭი იყარეს ურთიერთ შორის გამგეობისა და საბჭოს წევრებმა. გამოსცალეს კენჭი ჰხვდათ 'გამგეობის წევრს მიხა ჯალალოვს და საბჭოსას-სანდრო ელიზბარაშვილს, მაგრამ კრებამ კვლავ ისევ იგინი აირჩია.

გამგეობის წევრმა და საქმის-მწარმოებელმა ტ. ხაჩიძემ კრებას განუცხადა: რადგანაც პირდაპირ სამსახურშიაც ბევრი საქმე მაქვს გთხოვთ ამ თანამდებობიდან გამანთავისუფლოთო, ამასთანავე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ისევე ვადევნებ თვალყურს ამხანაგობის საქმის მსვლელობას, როგორც დღემდისაო. კრებამ მას მადლობა გადაუხადა ნაყოფიერ მუშაობისათვის და ერთხმად სთხოვა კვლავ დარჩენილიყო საქმის მწარმოებელად, ჩახიძე დროებით დასთანხმდა.

სიამოვნებითაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ამხანაგობის საქმის წარმოება და საერთო გამგეობის მოქმედება სასურველ ნიადაგზე ყოფილა დაყენებული და მცხოვრებთა შორის შესაფერი ნდობაც აქვს მოპოვებული გამგეობის მოქმედებას.

კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას და საბჭოს და საღამოს 4 ს. თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა და კმაყოფილი საზოგადოებაც დაიშალა.

კრებას არა წევრთაგანიც ბევრი დაესწრო, რადგანაც ყველას ეინტერესებოდა გამგეობის და საერთოდ ამხანაგობის საქმიანობის ვითარება.

დამსწრე.

კახეთის რკინის გზა

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ რაკი კახეთის რკინის გზის გაყვანის კონცესია მიიღო და ნება დართეს საამისოდ კახეთის სარკინიგზო საზოგადოების დაარსებისა, ამშინვე გაჩნდა გზის მიმართულების საკითხი. მიმართულების საკითხი კახეთის საეკონომიო ინტერესებს ეხება და დიდი კამათიც გამოიწვია: ინჟინერ ადრიანოვის გამოკვლევით, რომელმაც საკითხის გამო თავად-აზნაურობის ხარჯით იმუშავა, ყველაზე სამჯობინარო მიმართულება **პრასიანისა** იყო. პრასიანის გზა გაივლის ტფილისიდან ივრის ველზე, როემლიც სიღნაღის მაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილს, ქიზიყის, ეხება და გაივლის რაციგვიმბორის მთას პრასიანის უღელტეხილითა, გამოდის ალაზნის ველზე, ხირსის ხევთან, სიღნაღს ახლო. ისე იყო მოწყობილი, რომ ოელავამდისაც მიდიოდა რკინის გზა. მეორე გამოკვლევა ეკუთვნის ინჟენერ დვორნიჩენკოს, რომელმაც იმუშავა კახეთის სარკინისგზო საზოგადოების დავალებით. დვორნიჩენკოს პროექტით უპირატესობა ეძლევა **ჩალაუბნის** მიმართულებასა. ჩალაუბნის მიმართულებით რკინის გზა ტფილისიდან ისევ ივრის მიდამოს გაივლის და ბოლოს გადავა ჩალაუბნის უღელტეხილით ალაზნის ველში, პრასიანის გზაზე 30 ვერსით უფრო ჩრდილოეთად. ველზე გამოსვლისას გაივლის სოფელ ბაკურციხეს, კოლაქს, ვეძინსა და გურჯაანსა. შემდეგ იყოფა და მიდის თელავსა და წნორის წყალში (საქობო ან სიღნაღი).

ეს მიმართულება 33 ვერსით ამოკლებს გზასა და ამიტომ უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს. ჩალაუბნისა და პრასიანის უღელტეხილში დიდი განსხვავება არ არის სიმაღლის მხრით, მაგრამ ჩალაუბნის გასავალი ალაზნის ველზე, უფრო მოსახერხებელია. ჩალაუბნის მიმართულების განხორციელებაზე ქიზიყი ცოტას იზარალებს, რადგან პრასიანის მიმართულება თითქმის ყველა მხარეზე უვლიდა ქიზიყსა, უახლოვდებოდა თუქურმიშას (დედოფლის წყარო) და სამი სადგური გაჩნდებოდა: ნოვოალექსანდროვკა, უგუნკანი და საქობო. ჩალაუბნის მიმართულების დროს კი ორი სადგური იქნება: საქობო (სიღნაღამდე), წნორის წყალთან და მელაანი. უკანასკნელი სამსახურს გაუწევს 3—4 სოფელს, რომლებიც 10—20 ვერსით იქნება დაშორებული.

მიუხედავად ამისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ და კახეთის სარკინიგზო საზოგადოებამ ჩალაუბნის მიმართულება მოიწონეს, რადგან პრასიანის პროექტი დაჰგმო ისეთმა მცოდნე პირმაც, რანაირიც ინჟენერი ვურცელია.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: პრასიანის მიმართულების განხორციელება უფრო ცუდი იქნებოდა საეკონომიო მხრით კახეთისათვის, ვიდრე ეხლანდელი ჩალაუბნის მიმართულება ქიზიყელთათვის, რადგან წნორის-წყალი ქიზიყის შუაგულს, ქვემო მჩხაანს და ღვინის მოსავლიან ადგილებს უახლოვდება. რკინის გზის ექვსი ვერსით გაგრძელება რომ შეიძლებოდეს, ქიზიყი მაშინ სულ არ დახარალდებოდა, მაგრამ ამის გამო აღძრული შუამდგომლობა არ შეიწყნარეს: რკინის გზას უეჭველად ცხრა ვერსი მოემატებოდა, ერთი სადგურიც უნდა გაეშენებინათ, რაიც ნახევარ მილიონს ხარჯს მოითხოვდა. ქიზიყელების დასახმარებლად გადაწყვეტილია რკინის გზის წნორის-წყალამდე გაგრძელება და იქ სადგურის გადატანა.

უკანასკნელი სადგური იქნება ჭიაურის გზატკეცილთან, საფოსტო სადგურ წნორის-წყლის ცოტა ქვემოდ. დვორნიჩენკოს აზრით, ამ სადგურს „სიღნაღი“ უნდა დაერქვას, მაგრამ საქობოს სახელი სჯობია, რადგან ბევრს ეგონება, მართლა სიღნაღში ჩადის გზაო და შესცდება: სიღნაღამდე თორმეტი ვერსის გავლა მოუხდება კიდევა.

კახეთის მცოდნეთა აზრით, სოფ. გურჯაანს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება რკინის გზისათვის და რაც გასაგზავნი ბარგი რამ იქნება, იქ მოიყრის თავსაო. მაგრამ, მე მგონია პირველობა წნორის-წყალს უნდა ვაკუთვნოთ, რადგან მთლად ქიზიყის საქონელი იქ მოგროვდება, გარდა იმ სოფლებისა, მელაანს ახლო რომ იქნებიან. გარდა ამისა, შირაქის ველსაც დაეხმარება თუმცა შირაქის მნიშვნელობა ბევრს არა სწამს. რკინის გზა შირაქელებს მოხეტიალეობას გადააჩვევს და მკვიდრობას მიაჩვევს. აქ ისეთი ცხოვრება გაჩაღდება რომ სიღნაღი თავის მნიშვნელობას დაჰკარგავს.

წინად, როდესაც სოფლები ლეკობის შიშში იყო და დაღისტანიც ჯერ ვერ დაეპყროთ, სიღნაღს დიდი მნიშვნელობა ჰქონია. მაგრამ რაკი დაღისტანი დაიპყრეს და სოფლები განთავისუფლდა შიშისაგან, ქ. სიღნაღმა დაჰკარგა მნიშვნელობა და ვაჭრობა სოფლებში უფრო გაჩაღებულა: ველისციხის და ქვემო-მაჩხაანის ვაჭრობა სიღნაღისას არ ჩამოუვარდება. სიღნაღი ბოგინობს, რადგან სასწავლებლები და დაწესებულებანი აქ დაუტოვებიათ.

ამიტომ ძალიან საფიქრებელია, რომ სიღნაღის როლი წნორის-წყალის ხელში გადავიდეს.

ყველა ამ საკითხთა გადაწყვეტის შემდეგ კახეთის სარკინიგზო საზოგადოებამ მუშაობა დაიწყო. უფროს ინჟენერად მოიწვია გზის გაყვანი ინჟენერი რაციბორსკი, რომელიც ამ ჟამად ყარს-სარაყამიშის გზას აკეთებს. რაციბორსკის ბევრგან უმუშავნია და გამოცდილი კაცია. მეორე უფროს ინჟენრად მოწვეულია თ-დი თუმანიშვილი. იგი მონაწილეობას ღებულობდა ბევრ რკინის გზის გაყვანაში და მხურვალედ იღვწოდა კახეთის რკინის გზის კონცესიის მისაღებად.

კახეთის რკინის გზის გაყვანის ინსპექტორად გზათა სამინისტრომ გაამწესა ინჟენერი რახმანინი, ამიერკავკასიის რკინის გზათა უფროსის თანაშემწედ ნამყოფი.

მთელი გზა ორ ნაწილად გაუყვიათ. პირველია ტფილისიდან ჩალაუბნის უღელტეხილამდე. ამ ნაწილის უფროსი იქნება ინჟენერი ბუკოვეკი და დისტანციებისა: 1, გეინემანი, 2, კრეივეკი ღა 3, მათვეევი. ამ ნაწილის კანტორა და უფროსი იქნება ტფილ. გუბერნიის სოფელ საგარეჯოში.

მეორე ნაწილს შეადგენს ჩალაუბნიდან დაწყებული სოფელ გურჯაანამდე და თვით თელავსა და უნოძის წყლამდე. ამ ნაწილის უფროსია ინჟენერი ლორენცი და დისტანციებისა: ინჟენერი 1, სალომე, 2, სპარსკი და შტამნი. კანტორა იქნება სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში: აქვე იცხოვრებს უფროსიცა.

სამედიცინო დახმარების მხრივაც ორად არის გაყოფილი გზა. პირველ უბანს შეადგენს—ტფილისიდან მოყოლებული ჩალაუბნის უღელტეხილამდე. ამ ნაწილის უფროს ექიმად დანიშნულია ვ. დ. ღამბაშიძე, რომელიც სოფ. საგარეჯოში იცხოვრებს. აქვე იქნება საავადმყოფოცა.

მეორე უბანი იქნება—ჩალაუბნიდან მოყოლებული გურჯაანსა, ან თელავამდე. ექიმი იცხოვრებს სოფელ ბაკურციხეში და აქვე იქნება საავადმყოფო. ამ ნაწილის ექიმად დანიშნულია ბ-ნი პაატაშვილი. გარდა ამისა, ფელშერებიც იქნებიან.

მიწების რკინის გზისათვის დათმობის საქმის აგენტად დანიშნულია კ. რ. სტრუფჩევსკი, რომელსაც ორი მიწის მზომელი ეხმარება: თ-დი ავალიშვილი და სნეგოცკი.

რკინის გზის იურის-კონსულტია ნაფიცი ვექილი ს. დ. ჯაფარიძე.

კახეთის რკინის გზის გამგეობა მოთავსებულია ელისაბედის ქუჩაზე № 13.

ჯერჯერობით საქმე მოსამზადებლად („პადრიადი“) აუღიათ ტფილისიდან გურჯაანამდე. ტფილისიდან უღელტეხილამდე „ფოდრათი“ აქვს აღებული ინჟენერ პერცოვსა და უღელტეხილიდან გურჯანაამდე. ინჟენერ ოჰანეზოვსა. თელავიდან წნორის-წყალამდე „ფოდრათი“ ჯერ არავისთვის მიუციათ.

რკინის გზის გაყვანას დასჭირდება მუხის 300 ათასი „შპალი“ და 3650 სატელეგრაფო ბოძი, შევაჭრება ამ საქმის ასაღებად გაიმართება ამა წლის 15 მაისსა კახეთის რკ. გზის გამგეობაში. ამ საქმის ნაწილ-ნაწილ აღებაც შეიძლება. ამის თაობაზე აქაურ გაზეთებში დიდი ხანია გამოცხადებული იყო და ეხლაც ცნობების მიღება შეიძლება გზის გამგეობაში. განცხადების შეტანა შეიძლება 15 მაისს დილის 11 საათამდე.

რკინის გზა სიგრძით სულ 162 ვერსი იქნება: ტფილისიდან გურჯანაამდე 110 ვერსი, გურჯაანიდან თელავამდე 31 ვერსი და წნორის-წყლამდე 21 ვერსი.

ორწყვილ საბარგო-სამგზავრო მატარებლებისა და შვიდ წყვილ საბარგო მატარებელთათვის დანიშნულია შემდეგი 8 სადგური: ნათლუღი, ლოჯინი, იორი, ბადიაური, მელაანი, გურჯაანი, თელავი და საქობო (სიღნაღი). თუ საჭირო იქნება დღე-ღამეში 16 წყვილი მატარებელიც ივლის და მაშინ შემდეგი „რაზიეზდები“ იქნება: ვაზიანისა, საგარეჯოსი, ლაღბესი, ჩალაუბნისა, ვაჩნაძიანისა და ბაკურციხისა; ამეებში რკინის გზ. გაყვანისთანავე დაარსებენ საგარეჯოს, ვაჩნაძიანისა და ბაკურციხის „რაზიეზდსა“, რომელნიც სადგურებივით იქნებიან მოწყობილნი.

მუშაობა დაიწყება თიბათვის დამდეგს, თუმცა თითქმის ყველაფერი მზად არის და მსახურნიც გზისა დანიშნულ ადგილებში არიან.

სამწუხაროდ, ერთი ცუდი შვდეგი მოსდევს რკინის გზის გაყვანასა. საეკონომიო მხრის ასაღორძინებლად და კახეთის გასამდიდრებლად დიდი მნიშვნელობა ექნება გზასა, მაგრამ ერთიც არ უნდა დაგვავიწყდეს; კახეთის მიწა-წყალი ჯერჯერობით ჩვენს ხელშია, მაგრამ თან და თან იკარგება და სხვის ხელში ვარდება. რასაკვირველია, რკინის გზის გაყვანა ძალიან ასწევს მიწის ფასსა და უფრო ძნელი იქნება მისი შენარჩუნება. ამის გამო შეიძლება ბევრი დარჩეს უმიწაწყლოდ.

ჯერ დასაწყისია საქმისა და აი, რასა ვხედავთ: გლეხობაში და განსაკუთრებით ქიზიყში, ბევრსა ლაპარაკობენ სამუშაოს „ფოდრათად“ აღების გამო, მაგრამ საქმის მცოდნე ვერავინ აღმოჩენილა და ყველაფერი სხვას ერგო; კახელები დღიურ მუშაობას თუ გასწევენ, თორემ სხვა არაფერი რგებიათ.

არტელებისა და ამხანაგობათა დაარსების თაობაზე ბევრსა ლაპარაკობდნენ, მაგრამ საქმის მცოდნე ხალხი ძალიან ცოტაა და საქმე ვერ წასულა წინა. თუ ჰსურთ რაიმე შეიტანონ, უნდა დაარსონ სხვა და სხვა დარგის ამხანაგობები: ქვის მთლელთა და მზიდავთა, დურგლებისა, მღებავებისა, მიწის მთხრელებისა და სხვათა. ამხანაგობებს საწინდრად პატარა ფული უნდა ჰქონდეს და სამუშაო უნდა აიღოს ცალკე ნაწილებში. „მეფოდრათეებიც“ სიამოვნებით მისცემენ სამუშაოს ამისთანა ამხანაგობებსა.

ვისაც უნდა ამ საქმეზე ხალხს დაეხმაროს, ნუღარ დააყოვნებს და რკინის გზის გამგეობიდან წინადადების მიცემას ნუღარ დაუცდის, ეხლავე უნდა შეუდგეს მუშაობასაცა.

კახელი.

მეფის სურათის დაწვა

დეპეშა

პეტერბურგი. „ცნობათა მიმცემი ბიურო“ 6 მაისს ლვოვში მომხდარ ამბის გამო იუწყება: გოფმეისტერს საზონოვს ვენაში ქყოფ რუსეთის ელჩისათვის შემდეგი საიდუმლო მიწერილობა გაუგზავნია: „როგორც გავიგეთ, ლვოვში, მიცკევიჩის ძეგლის წინ, რუსეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოუხდენია აუარებელ ხალხსა და თან ხელმწიფე იმპერატორის პორტრეტი დაუწვავს. დაწვის დროს მღეროდნენ, თურმე. რასაკვირველია, ეს ამბავი, თუ მართალია, უეჭველად აღაშფოთებს ყოველ რუსსა და ძალიან დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ჰეშმარიტების აღმოჩენას. უნდა უეჭველად პირადად მოელაპარაკოთ გრაფ ბერტჰოლდს და შედეგი დეპეშით შეგვატყობინოთ“. ხელი უწერია საზონოვს.

კონსულს ყოველი ღონისძიება მიუღია ჭეშმარიტების გამოსარკვევად. დანამდვილებით არავინ იცისო, მართლა დაუწვავთ თუ არა ხელმწიფე იმპერატორის სურათიო, ზომები კი მივიღეთ, რომ ამისთანა ხმების გასავრცელებლად სხვა დროს საბაბი არა იყოს რაო.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

პეკინი. თუმცა ჩინეთმა რუსეთს უპასუხა, სენძიანში არეულობა არა ყოფილაო, მაგრამ ახლად დანიშნულ გუბერნატორს დაავალა, ღონისძიება იხმაროს ამბოხების ჩასაქრობადაო. საეროვნო კრების სხდომა დასავლეთ-მონგოლეთის თაობაზე კამათის დროს, მეტად ცხარე იყო. თავმჯდომარემ სხდომა დახურა.

ურგა. კობდოდან კერძო ცნობები მოსულა: დურბეტის დალათ-სანი თანახმაა შეუერთდეს ხალხსაო. შინაგან საქმეთა მინისტრის თაოსნობით ხუტუხტას ერთგულება შეჰფიცეს მინისტრებმა და სამინისტროს ყველა მოხელეებმა.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები.

რომი. „სტეფანის სააგენტოს“ ტრიპოლიდან 9 მაისის თარიღით ატყობინებენ: ოსმალები აინსარას დაესხნენ თავსა, მაგრამ ზარბაზნის სროლით უკუაგდეს იტალიელებმა. მეორე ღღეს მზვერავთა რაზმმა მტრის გზა-კვალი დაჰკარგაო.

იტალიის პრესა ოსმალეთიდან იტალიელთა განდევნას ბარბაროსობას ეძახის და დასძენს, ეს საქციელი საერთაშორისო უფლების დარღვევაო.

სტამბოლი. სამეხდრო სამინისტროს ცნობით როდოსის გარნიზონის ნაწილი იტალიელებს დაჰმორჩილებია, დანარჩენები ისევ იბრძვიან თურმე.

ბენაზიდან იუწყებიან, ოსმალების სიმაგრეებს იტალიელები ეკვეთნენ, მაგრამ ჯარის უფროსი იუწყება, იტალიელებმა დუბაბს ზარბაზანი დაუშინეს, მაგრამ გადმოსვლა ვერ მოახერხესო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგე ო)

საზღვარ-გარედ

12 მაისი.

ავსტრია ჰუნგრეთის არეულობა.

ვენა. „კორესპოდენც ბიუროს“ ბუდაპეშტიდან ატყობინებენ, დემონსტრაციის დროს ფარნები მთლად დალეწესო. ვაიცნერის ქუჩაზე დემონსტრანტმა ჯარის კაცის თოფს ხელი სტაცა, ჯარის კაცმა იგი მოჭკლა. მუშები საასფალტო საზოგადოების კანტორაში შეცვივდნენ დავთრები გამოიტანეს და დასწვეს. დაუზიანეს აგრედვე სატრამვაიო პარკი. ხალხი ჯარსა და პოლიციას ესროდა, უკანასკნელნიც უპასუხებდნენ. პოლიცია დემონსტრანტებს ავტომობილებით დაედევნა. ვაგზლებს ჯარი იცავს. ტრამვაი გაჩერებულია. მინისტრს განუცხადებია, ჯარი მოვიშველიოთო.

ბუდაპეშტი. მიუხედავად ჯარის მოშველებისა, ქალაქში არეულობა არ სცხრება. ბევრგან სახლის ფანჯრები ჩალეწეს. მუშათა საეროვნო პარტიის დეპუტატის ვინიცინის სახლის წინ ყუმბარა ააფეთქეს. არავინ დაშავებულა. ტისას სახლისათვის თოფი უსროლიათ, მაგრამ არავინ დაუჭრიათ. დემონსტრანტებსა და პოლიციას ხელმეორედ მოუვიდათ შეტაკება. ერთი დღის განმავლობაში 30 სახლი გადაუწვავთ, 7 კაცი მოუკლავთ და 160 კაცი დაუჭრიათ. სადგურ რაკოსზე მუშებსა ორი მატარებელი გაუჩერეს. წუხელის სოციალ-დემოკრატთა პარტიის კომიტეტმა მოწოდება გამოსცა და მუშებს ურჩევს, დამშვიდდით, ხვალ მუშაობა დაიწყეთო. 12 საათზე არეულობა მინელდა.

ჰუნგრეთის პალატა.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. აპონიმ პროტესტი განაცხადა 9 მაისის ამბების გამო. პროტესტი განაცხადა ლოვაჩიმ, რომლის სიტყვის დროსაც პოლონიმ წამოიძახა: „ქუჩებში მოწაფეებსა ჰხოცავენ!“ მემარცხენეებმა სხდომის შეწყვეტა მოითხოვეს. პრეზიდენტი აცხადებს, თუ მართლა ქუჩაში არეულობაა, ამან ხელი ვერ უნდა შეგვიშალოს მუშაობაში. (მემარჯვენენი მოწონებას აცხადებენ). ბაკონიიმ განაცხადა, ბოდმანეცკის ბრალდება, ვითომ არეულობა იუსტის პარტიას გამოეწვიოს, ცილისწამებაა.

შემდეგ საიდუმლო სხდომა გაიმართა. კოშუტმა განაცხადა: საარჩევნო რეფორმა რო მოგეხდინათ, არეულობა აღარ მოხდებოდა საჭიროა ეაფიცულებთან შერიგებაო.

დაიწყო საჯარო სხდომა. პრეზიდენტმა განაცხადა სხდომის ვადა გავიდა, პალატამ ერთი დღე კიდევ დაჰკარგაო (მემარცხენენი ხმაურობენ, მემარჯვენეთ მოსწონთ თავმჯდომარის ნათქვამი.

ავსტრიის პალატა.

ვენა. დეპუტატთა პალატა. სოციალ-დემოკრატმა ადლერმა ბუდაპეშტის ამბების გამო განაცხადა: სამხედრო რეფორმის მომხრეთა ბრძოლა მაგნატების სურვილია ჰუნგრეთის ერთა საყოველთაო საარჩევნო უფლების ფეხით გათელვისაო: მოლაპარაკე პროტესტს აცხადებს, საიმპერიო ჯარი ბუდაპეშტის ამბოხებაში არ უნდა ჩარეულიყოო.

ვიცე-პრეზიდენტი ამბობს ძლიერა ვწუხვარ სისხლის ღვრის გამო, მაგრამ ჩვენ ხელთ რომ არ არის ჯარი, რა უნდა ვქნათო.

უკრაინელთა კლუბის პრეზიდენტმა ლევიცკიმ პროტესტი განაცხადა ლვოვის უნივერსიტეტის 250 წლის თავის დღესასწაულის გამო. პოლონელები ამბობენ, მეფე იან-კაზი ბირმა დაარსაო; უნივერსიტეტი კი ავსტრიის იმპერატორის დაარსებულიაო.

პოლონელმა გრომბინსკიმ განაცხადა; უნივერსიტეტი დაარსა იან-კაზიმირმა 1661 წელს, პოლონელები თანახმანი არ არიან, რომ უკრაინის უნივერსიტეტი ლვოვში დაარსდესო.

მშვიდობიანობის აღდგენა.

ბუდაპეშტი. ბილით ქალაქი დამშვიდებული იყო. ყველგან დაიწყეს მუშაობა. საეოთო გაფიცვა გამოაცხადეს დებრეჩინსა და ნაჟიკიკინდში.

გაფიცულთა არეულობა.

პუდაპეშტი. მადნეულობის ქარხანათა მუშები სოციალისტების რჩევას არ გაჰყოლიან და მუშაობას არ შესდგომიან. მათ სხვა მუშებიც მიემხრნენ და არეულობა მოხდა. გაფიცულებმა გადააბრუნეს და დაამსხვრიეს ტრამვაის ვაგონები, სცადეს ეკლესიის დანგრევა, თავს დაესხნენ პოლიციელთა სადარაჯოს და გარედ გამოჰყარეს ავეჯეულობა, მთლად დაამსხვრიეს გაზის ფანრები, ცეცხლი წაუკიდეს შეშის საწყობს და ხელს უშლიდნენ ცეცხლის მქრობლებს; რამდენიმეჯერ უსროლიათ რევოლვერი ეკლესიისათვის, სადაც წირვა იდგა თურმე. პოლიციასთან შეტაკების დროს ბევრი დაუჭრიათ. ხუთასი დემონსტრანტი სცდილობდა ქალაქ გარედ არსებულ საელექტრონო სადგურისათვის ცეცხლი წაეკიდებინა, მაგრამ პოლიციამ და ჟანდარმებმა ხელი შეუშალეს. დემონსტრანტები ფიცრულის ღობეებს ეფარებოდნენ და ისე ესროდნენ რევოლვერსა. რამდენიმე კაცი დაჭრილა. მუშებმა კრება გაბაზიეს — და ინგლისელთა ბანდერეტებს აპირებდნენ, მაგრამ პოლიციამ ეს შეუშალა. ასტყდა სროლა. დაჭრილია ორი მუშა. შუადღისას დემონსტრანტები ვაიცენენერის ქუჩაზე მოითხეჯერ მიესივნენ საასფალტო ქარხანას. როდესაც ჟანდარმები ფარდულში შესულან, მუშებს ცეცხლი წაუკიდებიათ მისთვის.

არეულობა ძლივს ჩააქრეს. ვაიცენერის ქუჩიდან ჯარმა მანიფესტანტები გარეკა და 18 კაცი დასჭრა. დემონსტრანტებს 5 ათასი გაჰის ფარანი დაუმტვრევიათ.

ალბანელთა აჯანყება.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა მინისტრისა და ალბანელების მოლაპარაკების შემდეგ უკანასკნელებს დასამორჩილებლად ვადა მისცეს 12 მაისამდე, თუ ალბანელები არ დაემორჩილნენ, სამხედრო მოქმედებას განაახლებენ. ნადეპუტატარი ბასრი, რომელიც მალისორებს ასაჯანყებლად მოუწოდებს, სამართალში მისცეს.

ალბანელთა მოთხოვნილებანი.

სალონიკი. კოსოვოს ვილაიეთში საჩქაროდ გაეშურა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ალბანეთიდან ახლახან დაბრუნებულა. აჯანყებულმა ალბანელებმა შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს უსკიუბში მყოფ სახელმწიფოთა კონსულებსა: უნდა მიანიჭონ ალბანეთს სრული ავტონომია, ალბანეთს თავისი დროშა უნდა ჰქონდეს. ალბანეთის გუბერნატორად ალბანელ მთავართა ჩამომავალი უნდა დანიშნონ, მოხელეებად მხოლოდ ალბანელებს უნდა ჰნიშნავდნენ. ოფიციალ ენად—ალბანური უნდა იყოს აღიარებული, ასოები ლათინური იქნება. ამ მოთხოვნილებათა შესრულება უნდა უზრუნველჰყონ სახელმწიფოებმა.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. კაბინეთის ასეთ ცვლილებას მოელიან: ფინანსთა მინისტრად იქნება ჯავიდი, გზათა მინისტრად დაინიშვნენ ნამინისტრალს სომეხს ჰალაჯიანს, განათლების მინისტრად „ტანის“ რედაქტორს იზმაილ-ხაკიბაბა-ზადეს.

გაფიცვა ინგლისში.

ლონდონი. ნავთსადგურის მუშათა გაფიცვამ დიდად შეაფიქრიანა ვაჭარ-მრეწველთა წრეები ტ მთლად ინგლისის ვაჭრობას ზარალს აძლევს. ეშინიანთ, შეიძლება ნავთსადგურების მუშებს რკინის გზისანიც მიემხრნენო.

პასუხი არ. ჯ - შვილს

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული *)

„ბრილი“ რომლის ლიკვიდაცია მხოლოდ ახალა იწყობა, ჯერ-ჯერობით მორიგება მოწესდა სამ ჯგუფთან. ერთმა იყიდა 20 დეს.-დესატინა—105 მან.; მეორემ—4,1/2 დესეტინა 200 მან. და მესამემ-85 დეს.-დესატინა—150 მან. მართალია, სინდიკატს,-მთელის მამულის რაოდენობის მიხვედით,—დესიატინა, დაახლოვებით, 40 მან. დაუჯდა, მაგრამ უმთავრესი ნაწილი „ბრილისა“ ახალშენი ტყიანი ადგილია, რომლის ლიკვიდაცია მოუხერხებელია და, მაშასადამე, იგი ტვირთად აწვება დანარჩენ სახნავ მამულს. „სინდიკატმა“ შეაძლია ადგილობრივ გლეხებს 500 დეს. თავანკარი სახნავი მიწა და ორასი დესიატინა სამამულო ტყე, რაც მათთვის დიდ საჭიროებას შეადგენს,-დესიატინა 105 მან. ამასთანავე „სინდიკატმა“ განუმარტა გლეხებს, რო, ვინიცობაა ეს ფასი,-შედარებით „ბრილის“ სხვა მომჯნავე მამულების ფასთან, რომელიც გაიყიდა სათავ. აზნაურო საადგილ-მამულო კომისის შუამავლობით,-მეტი გამოდგება.-მაშინ „სინდიკატი“ მზად არის იმის დაკვალად დაუთმოს მათი წები. მხოლოდ ნაჭერ-ნაჭერ, და ისიც შერჩევით. გაყიდვა მამულისა არც გლეხებისათვის, არც „სინდიკატისათვის„ ხელსაყრელი არ არის და ამ შემთხვევაში „სინდიკატი“ იძულებული იქნება-მიწას ფასი მოუმატოს, რომ თავიდან მოსალოდნელი ზარალი აიცდინოს.

იმედია, არც ამას დაერქმის სპეკულიაცია...

სპეკულიაცია-კი არა,-„სინდიკატი“ მამულების ამ გვარ ყიდვა-გაყიდვით დიდ სამსახურს უწევს კერძო მამულების ლიკვიდაციის საქმეს და ხელს უწყობს, რომ სასურველი მიმდინარეობა მიიღოს ამ საქმემ. აბა, სხვა ვისმე უნდა ჩავარდნოდა „ბრილი“ ხელში,-თუ გინდა, რომელსამე ბან-

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 587.

კს,-კერძო პირზედ აღარას ვიტყვი,-რომ მაშინ ჰნახავდა ბ-ნი არ. ჯ-შვილი-რა ფასად დაუჯდებოდათ ქართველ გლეხებს მისი ყიდვა. ამის დასასურათებლად საკმარისია გავიხსენოთ „ნაბახტევის“ მამული თარხანიშვილებისა, რომელიც ერთხანად სახელმწიფო ბანკის ხელში იყო.

საზოგადო გულ-შემატკივრობა-პირდაპირი ვალდებულებაა პრესისა და არ. ჯ-შვილის გულისწყრომა „სინდიკატის“ მოქმედებით საკეთილშობილო გრძნობა იქნებოდა, რომ ამ გრძნობის გამოსაჩენად საბუთი-რამ ჰქონოდა, მას, მიზეზი-რამ ყოფილიყო. ახლა-კი ბ-ნმა არ. ჯ-შვილმა უმიზეზოდ აისხა სალაშქრო აბჯარი „სინდიკატის“ წინააღმდეგ!.. იგი, სხვათა შორის, გვიკიჟინებს-ვითომც „სინდიკატს“ გვერდი აეხვიოს თავის პირდაპირის მიზნისათვის, ე. ი. „ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობას და ოჯახში საჭირო მასალის შეძენასა და მათი ნაწარმოების გასაღებაში; აძლიოს სეხი ამხანაგობის საწყობში მიტანილ საქონლის გირაოდ და გამართოს ხოლმე თათბირი ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა შესახებ.“

მერე, რითი დაამტკიცა არ. ჯ-შვილმა, ან იმ პირმა, რომელმაც მას ცნობები მიაწოდა, რომ „სინდიკატი“ არ ასრულებს ამ მოვალეობას?!

არაფრით! ამის საბუთებს მის წერილში ვერა ვხედავ სამაგიეროდ, მე ვუჩვენებ მის დასკვნათა საწინააღმდეგო საბუთებს.

15 წლის განმავლობაში, რაც „სინდიკატი“ მოქმედებს, იმის რაიონის ფარგალში ხორბლეულის ფასი 1 (პური, სიმინდი, ქერი). 80—70 კაპ. დაბლა არ დაწეულა ფუთზე, მაშინ როდესაც „სინდიკატამდე—ამ საგნების ღირებულება 35—40 კაპ. უდრიდა. შეგიძლიანთ სთქვათ, რომ ამ ხანში სულადის ფასმა იმატაო. შეიძლება ეს მართალი იყოს, მაგრამ ცალ-ყბად. მაგალითად, ქარელის და ხაშურის რაიონებში ხორბლეულობა მუდამ 10 კაპ. ნაკლებ ფასობს გომის რაიონთან შედარებით. და იცოდეთ, ეს გარემოება „სინდიკატის“ წყალობით ხდება. სამაგიეროდ, ჩაი, შაქარი, ნავთი და სხვა სახელდახელო საგნები „სინდიკატის“ მაღაზიაში მუდამ იაფია ვიდრე სხვაგან სადმე, ზოგიერთი საგნები იაფია თვით თბილისის ფასებთან შედარებითაც-კი. ამის წყალობით ადგილობრივი ვაჭრებიც იძულებულნი არიან ამ გზასავე მისდიონ.

დასასრულ ვთხოვ ბ-ნ არ. ჯ-შვილს, თუ ჰსურს ქეშმარიტი აზრი შეადგინოს გომის „სინდიკატის“ მოქმედების და მის საზოგადოებრივ სარგებლობის შესახებ—გაისარჯოს, მობძანდეს ადგილობრივ—ეს მოგზაურობა დიდ დროს არ მოინდომებს და გამოიკვლიოს ადგილობრივვე, გამოჰკითხოს იმავე დაზარალებულ გლეხებს, რომელთა შესახებ ვითომც „სინდიკატი“ სპეკულიაციას ეწევა. მაშინ, სრულიად დარწმუნებული ვარ, მტვრად იქცევა მისი ბრალდებანი, უსაფუძვლო და უნიადაგო გამოდგება იმის მტკიცება,—ვითომც ხსენებული დაწესებულება მისდევდეს ოროიოდ-სამიოდ ამხანაგის კერძო სარგებლობას. იგი დარწმუნდება, რომ სწორედ ეს ამხანაგები უწევენ სარგებლობას „სინდიკატს“, უხსნიან მას კრედიტს, უსაღებენ ვექსილებს და თითქმის ასულდგულებენ მას სრულიად უანგაროდ. იგი დაინახავს—როგორ ეხმარება „სინდიკატი“ ახლად დაარსებულ კოოპერატიულ ამხანაგობას და რა ძლიერად მოქმედობს ეს დახმარება ხსენებულ ამხანაგობის საქმის განვითარებაზე თითონ ხელმძღვანელი ამ ამხანაგობისა დაარწმუნებს, რომ ეს დახმარება ასჯერ აღემატება იმ მცირე ბინის გადასახადს—60 მან.—რომელზედაც ბ-ნი არ. ჯ—შვილი ირონიულად მეტყველებს.

ყველა ამის შემდეგ, დარწმუნებული ვარ,—არ. ჯ—შვილი სინანულს იგრძნობს,—რომ უმიზეზოდ გაათახსიროა „სინდიკატის“ ძესვეურნი და როგორც გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი,—ამ სინანულს საჯაროდ აღიარებს.

გომის სინდიკატის გამგე დირექტორი **თავადი ვასილ ედიშერისძე ბაგრატიონ-დავითაშვილი.**

თეატრი და ხელოვნება

ქართულ თეატრში დღეს, საღამოთი, დანიშნულია გრიგოლ როგაქიძის ლექცია (რუსულად): „ხელოვნება და სინამდვილე“.

ქართულ თეატრში ორშაბათს, 14 მაისს, დილით (12 საათზე) **ვლ. ალექსი - მესხიშვილი** გამართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ პ. ყიფიანის ისტორიულ დრამას „მურად ფაშა“.

სახალხო სახლი. პარასკევს, 11 მაისს, ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა დახმარებით ა. მეტრეველმა გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „უდანაშაულოთ დასჯილნი“ კომედია 4 მოქმედებად ოსტროვსკისა, თარგმანი ი. მაჟავარიანისა. წარმოდგენამ საერთოდ სუსტად ჩაიარა. ჩვეულებრივ კარგად შეასრულეს ბ.ბ. ნ. გოცირიძემ შმაგას როლი და ა. მეტრეველმა გრიშა ნეზნამოვისა; არა უშავდათ რა ქ.ქ. ს. რომანიშვილი—დგებუაძისას ატრადინის და ე. ციმაკურიძეს კორნიკინის როლებში, დანარჩენები სუსტობდნენ. პუროვის როლი ბ. გ. ფორნის-პირველის ნაცვლად ბ. მარკოზოვმა ითამაშა სრულიად მოულოდნელად, როგორც ეს წინდაწინვე იქმნა გამოცხადებული. ა. მეტრეველს საჩუქარი მიართვეს და ორჯელ-სამჯერ გამოიწვიეს.

ხალხი ბლომად დაესწრო და ღამის 12 საათზე დაიშალა. **ი. ი—ი.**

სახალხო სახლი. დღეს საღამოთი, 13 მაისს, სახალხო სახლთან არსებულ ქართველ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ელ. ჩერქეზიშვილის და ოლ. ლეჟავას მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება „ხანუმა“ კომედია 4 მოქმედებად ავქ. ცაგარლისა.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანიშნულია საყურადღებო სალიტერატურო-სამუსიკო დილა. მონაწილეობას იღებენ: დამსახურებული მსახიობი ვლ. ალ.-მესხიშვილი, ქართველ მომღერალთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით, ლექტორი ს. კაკაბაძე, თეატრ„მინიატიურის“ ცნობილი მსახიობნი და ქართველი მწერლები: დრამატურგი ი. გედევანიშვილი, სოფ მგალობლიშვილი, ია ეკალაძე, ირეთელი, ს. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, მსახიობი ნ. გოცირიძე და სხვანი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

ხელოვნური ყინული

რომელიც გაკეთებულია წყალსადენის წმინდა წყლიდან, ჰყიდის

ფ. პ. ვეტცელის მემკვიდრეთა

ლუდის ქარხანა. ფასი-ფუთი 40 კაპ., სახლში მიტანით (არა ნაკლებ 1 ფუთისა), 50 კაპ. იყიდება აგრედვე ბაზრის ქუჩაზე, შადინოვის რძის მაღაზიაში. ეს ხელოვნური ყინული სისუფთავის გამო ოჯახისათვის ძალიან გამოსადეგია. (1.1266.1)

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარეკი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარეკ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საადარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საადარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ** № 78/79, მე- და მე- კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 —II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლ. კარტ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, ს. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საადარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საად.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან: საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|1 , ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭმარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამადლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტინ შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და **სადაც-კი** ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს **საჭმელ-სასმელს** აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

განცხადებანი

გაყიდულია მრავალი მილიონი ბანკა.

სილამაზესა და სინორჩეს
აძლევს ყოველ ქალის სახეს!

კრემი
ასზიმი
მეტამორფოზა

ძირიანად სპობს ფერი-მჭამელას, ჭორფლსა, მზის ნამწვს, ძიძიბებს, ნაოჭებსა და **სხვა ნაკლს სახისას.** (1.1263.1)

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში ქუთ. ქართ. გიმნ. მოწ. გამოცემები:

1	მოთხრობათა კრებული ივ. ყ—ნისა	2 კაპ.
2	„მირიელ ეპისკოპოზი“ დ. ბ—შვილისა	2 „
3	„სინდოლის ხმა“ ვ. ნ—ძისა	2 „
4	„მოგზაური“ ნ. ე—შვილისა	2 „
5	„ოქროს ფული“ ლ. ფ—ვასი	2 „
6	„ცხოვრების გზა“ ა. ჭ—ძისა	2 „
7	„სოფელი კურთხეულა“ ა. დ—ნისა	3 „
8	„ივანე სარდალი“ ი. ყ—ნისა	3 „
9	„პატარა ქალის გმირობა“ დ. ბ—შვილისა	3 „
10	„ნელო და პატრაში“ შ. თ—შვილისა	4 „
11	„სამი მოთხრობა“ დ- ნ—ვისა	3 „
12	„ძუნწი“ გ. ერისთავისა	5 „

უმთავრესი საწყობი ქუთაისში მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.
(5—1257—2)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ.	50 კ.	მაკბეტი. ნათ. ი. მიჩაბლისა	40 „
ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ.	20 „	ნაძირალნი. გორკისა 4 მ.	25 „
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ.	60 „	ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ.	40 „
გაყრა, გ. ერისთავისა	5 „	ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან.	25 „
გაძცემი. დრ. 3 მოქ. გედ.	25 „	ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი ძეფობენ.	50 „
გალატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ.	10 „	ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ.	40 „
დემონი. ოპერეტ.	50 „	პანთეონი ქართ. თ.: იქვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია.	30 „
დარბეულნი. დრ. 4 მოქ.	30 „	რიჩარდ.	40 „
დრამ. თხზ. დ. ერისთავისა	1 მ. — „	საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ.	25 „
დაღი. დრ. 3 მოქ.	20 „	სალამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ.	10 „
დრამ. ტ. კომ., „სოროპ“ გამ.	1 მ.— „	სამშობლოს ბრუჯნი	10 „
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ოინბაზი	50 „	სამეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ.	40 „
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ.	35 „	უმარილის ბრალია. კ. 3 მ.	10 „
თანამედროვე პიესები ს. ტარ.: კოცნა პირვ. ტ. უკანასკ., ფეთა მეფე, შეწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი.	30 „	ფეიქრები. დრ. 5 მოქ.	50 „
ილიას დღე ჭიათ. ტ. ბატ. ტ. ყმა	20 „	ქრისტინე. დრ. 5 მოქ.	20 „
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ.	50 „	ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან.	20 „
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ.	15 „	ღალატი. ნათ. ყიფშიძისა	50 „
მტარვლის ბედი. დრ. მოქ.	10 „	ღალატი. ნათ. ნ. ავალ.	1 25 „
მეგობრობა. დრ. 4 მოქ.	30 „	ღალატი. ნათ. კ. მესხისა	25 „
მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ.	40 „	ცოლი ვიტირო თუ ფული!?	15 „
მოლიერი. დრ. თხზ.	50 „	შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ.	30 „
მარო. დრამის ნაწყვ.	3 „	წყურვილი. დრ. 3 მოქ.	30 „
მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია.	50 „		
მეორე კაენი. დრ. 3 მოქ.	30 „		

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз насел. (წ. 1141,43)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შეშხაკუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. ბ. ბაბანასოვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**
(წ. 1074.47)

ტფილისიდან წასვლის გამო
— **შემთხვევით** —

იჯარით იძლევა 13 ოთახი. პიროებების გასაგებად მიმართეთ სახლის-პატრონს სამი დღის განმავლობაში. თუმანოვის შესახვევი, № 20.
(1—443—1)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპაიული, თეთრეული მანდილოსანთა და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადადდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос- Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.1231.3)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ჯიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზეთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი. სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსაგზავნელი თევზი

(წ.—1131—58)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზის მრეწველნი
ძმ. ალეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულოგის
წყალი
მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5**
(25.1160.17) **ტელეფონი № 411, ქუთაისში პუშკინის ქუჩა № 6.**

გამოვიდა და იყიდება

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქ უ თ ა ი ს შ ი)

შეესპირის შემდეგი წიგნები: „ოტელო“, „ჰამლეტი“ და „მეფე ციმბელინი“, ნაამბობი ყრმათათვის, სამსონ ყიფიანის მიერ.

ფასი ერთი აბაზი. (5.1256.1)

სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „ი დ ე ა ლ ი“-ს გამგეობა სთხოვს ბ.ბ. პაების პატრონთ და ამხანაგობაში მონაწილეობის მიღები მსურველთ, მობრძანდნენ კანტორაში, ოთხშაბათს, 16-ს მაისის საღამოს 7 საათზე, განსახილველად კითხვისა სასწრაფოთ გასასხნელათ არყის და სპირტის საპარტიო საწყობისა და სხვათა ქარხნებისა.

შუა ბაზარი, ბირჟის პირდაპირ არმიანსკი ტუპიკი სახლი № 4. პაების ჩაწერია, განაგრძობს. (2—440—2)

მევენახეთა და მებაღეთა საყურადღებოდ. ახალი სითხე ჟაკმენისა
ქუთაისი ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის
სავაჭროში

მიღებულია და იყიდება ვენახისა და ხეხილების სხვა და სხვა სენის საამქოდ, („ბაბაინისა და გოგირდის გარდა) ახლათ შეძოღებული სითხე **ჟაკმენისა**, რომელიც ნაცადი არის როგორც სხვა და სხვა ქვეყნებში ისე ქუთაისის გუბერნიაშიც და ძრიელ სასურველი შედეგიც მოტანია. **ჟაკმენის** სითხით აქიმობა შეიძლება იმავე მანქანით, რომლითაც აქიმობენ ბაბაიანს. ვინც **ჟაკმენის** სითხით უაქიმებს მაშინ გოგირდით აქიმობა არ არის საჭირო. დარიგება. და **პრეისკურანტი** მსურველებს გაეგზავნებათ უფასოდ. **ჟაკმენის** სითხე იყიდება ქუთაისის გარდა შემდეგ ადგილებში: **ყვირილაში** ძმათა ბებიაშვილებთან და სიხარულიძე-მამალაძესთან, **ძირულაში** პეტრე ნიორაძესთან. **სვირში** სამუელ ღვალაძესთან. **სამტრედიაში** ივანე და ნიკ. ჯანელიძეებთან და ქართველიშვილ-ნაცვალაძესთან. **ახალ-სენაკში** ნიკო ზონიაანთან **ფოთში** ხოფერიანკინწურეიშვილთან. **ხონში** ერისტო ჭავჭანიძესთან. **ჩხარში** არტემ სიმონგულოვთან და **ბაღდათში** ანტონ ბუცხრიკიძესთან უმთავრესი საწყობი ქუთაისის გუბერნიისათვის ქუთაისში ნიკ. მ. ჯანელიძის სავაჭროსთან. ადრესი ფოსტის და დეპეშის: ქუთაისი ჯანელიძე. (8—1193—7)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იუწყება რომ გამგეობის სამმართველოში მიმდინარე წლის **26 მაისს**, შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ერევნის მოედანზე, ტრამვაის ფარდულის გასწვრივ მდებარე გამაგრილებელ წყალით სავაჭრო

საქალაქო ფარდულის იჯარით გასაცემად.

პირობების გადათვალიერება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, ტფილ. ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილების საიჯარო ნაწილში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3.1261.2)

ამა წლის **5 მაისიდან,** კაპიტალურად შეკეთების შემდეგ, ხელახლა **გავხსენი მშვენიერი ბაღი** და **რესტორანი,** ვერაზე, საბურთალოზე, სახელად

☛ რ ა ზ ს ვ ე ტ ☚

რესტორანში არის ყოველ-გვარი ევროპიული და აზიური საუზმე, აგრედვე საუცხოო კაბინეთები, სადილ-ვახშმებს ხელმისაწვდენ ფასებში ვაძლევთ, რასაც ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას.

(1—457—1) პატივისცემით **ლუკა ბარკალაია.**

იმერული შამპანიური
ღ ვ ი ნ ო ე ბ ი,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კ ო ლ ხ ი დ ა“ და **„თ ა მ ა რ ა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 **კ.** 1 50 **მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37. 1166.14)

ქუთაისში

ჟურნალეულისა და ავეჯეულოგის მაღაზია ფ. ს. ფ ი ლ ი პ ო ვ ი ს ა,

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საქონელი; ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალაპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილ ინდოეთის ლეკრწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები. კლიოსკა და იტალიაზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფირფიტები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სიმები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტროსული ლამფები, ორმატურები და მოწყობილებანი, ორთქლით-მრეცხავები (პროშიკები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა „ტორპედოსი“**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.9)